

შპს „სვიიტსტარი“-ს 31 დეკემბრით დასრულებული 2019 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	17,046	809,751
სავაჭრო მოთხოვნები	97,601	136,587
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	139,585	78,255
მარაგები	401,323	394,344
- მზა პროდუქცია	35,542	37,960
- სხვა	365,781	356,384
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	10,712	10,064
ბიოლოგიური აქტივები	-	-
- იფრადიერებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა ავამატორიული აქტივები	3,046	3,384
ძირითადი საშუალებები	1,034,985	886,200
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1,704,298	2,318,585
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	21,769	21,909
ვალდებულებების და ხარჯების ანარიტხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		50
საგადასახადო ვალდებულებები	26,538	86,646
გამოუკუთმაველი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	171,998	509,784
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	683,192	798,200
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	20	20
სულ ვალდებულებები	903,517	1,416,609
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემოსუვევაში კაპიტალი)	25,000	25,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	775,781	876,976
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	800,781	901,976
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,704,298	2,318,585

შპს „სვიტსტარის“ დირექტორი

ანზორ ხელიაური

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო
პერიოდი

ნეტო ამონაგები	2,083,847
საქონლის გაყიდვიდან	
მომხმარებლის გაწევიდან	
სამშენიშნო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	2,083,847
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,568,857)
საწყისი მარაგები	(394,344)
მარაგების შესყიდვა	(1,641,267)
გადამუშავების დანახარჯები	65,431
საბოლოო მარაგები	401,323
ხაერათო მოგება	514,990
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(213,450)
ცვეთა და ამორტიზაცია	(24,728)
საპროცენტო შემოსავალი	6
საპროცენტო ხარჯი	(76,780)
იჯარის ხარჯი	(65,044)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(110,941)
სულ საოპერაციო ხარჯები	(490,937)
საოპერაციო მოგება	24,053
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(57,651)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(3,375)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცია	(36,973)
მოგების გადასახადი	
მოგება / (ზარალი)	(36,973)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(36,973)
კაპიტალი ხაზისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	901,976
ახალი აქტივების გამოშვება (მათ შორის შემთხვევითი)	
გაწაფილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(63,158)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(38,037)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	



2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სვიიტსტარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 11 აპრილს გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 1/4-595. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200132640, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. #17. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 ივნისს.

1.2. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709), 40%-იანი წილის მფლობელი თინათინ ღირვალიძე (პ.ნ. 01018005257) და 10% წილის მფლობელი თეიმურაზ კურცხალია (პ.ნ. 01017011597).

1.3. კომპანიის დირექტორია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ვაჭრობა პური და პურფუნთუშეული ნაწარმით, ორცხოვრებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შეილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით, თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დავაპირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი საფარადო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფუნქციური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიგვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. ხაანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 25%;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 20%;

ინვენტარი - 10%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამოდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იმგვარი გამოწვევის შემთხვევებისა).

2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღარიბოში	9788	61951
ლარი საბანკო ანგარიშებზე	6622	4639
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	537	743066
ევროები საბანკო ანგარიშებზე	100	95
სულ:	17046	809751

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	111297	150283
სავაჭრო მოთხოვნების კორექტირება	-13696	-13696
სულ:	97601	150283

2019 წლის პოლოსაივის, კომპანიის საეჭვო ვალებში, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 13696 ლარი, ცვლილება არ მომხდარა. ეს თანხა შედგება 3 რეზიდენტი იურიდიული და 2 ფიზიკური პირები დავალიანებებისაგან, დანარჩენი დებიტორები შეადგენენ 170 ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	814	15644
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	138771	62611
სულ:	139585	78255

31.12.2019 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 129381 ლარის ოდენობით, დაიხურა 2020 წლის იანვარში გასსორციელებული იმპორტის ოპერაციით.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	8296	8296
ნედლეული და მასალები	357182	332544
მზა პროდუქცია	35542	37960
საწვავ-საცხები მასალები	260	3147
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	43	12397
სულ:	401323	394344

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონელისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	538	1143
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	10192	8921
სულ:	10730	10064

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.321 (501.8 კვმ)	35126.00	35126.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქ.№28, არასასოფლო -სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.390) 225 კვ.მ)	36877.00	
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის 2 შესასვეცი 78,	45722.00	
არასასოფლო სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.320) 301.2 კვ.მ)		
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქუჩა №28 ,	32788.00	
არასასოფლო სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.389) 216 კვ.მ)		
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.322 (583 კვმ)	40810.00	40810.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.325 (934.2 კვმ)	65394.00	65394.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.324 (978.9 კვმ)	97890.00	97890.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.317 (702.9 კვმ)	70290.00	70290.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.388) (497 კვმ)	67100.00	67100.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.326) (438.8 კვმ)	59240.00	59240.00
მიწის ნაკვეთი (ბარისახოს ქ. №118, არასასოფლო- სამეურნეო, ს/კ 01.11.01.017.162) (3584 კვმ)	224267	224267
სულ:	775504	660117

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობი თ	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხულ ი ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობი თ
დაუმთავრებელი მშენებლობა	160240	68654		91586
სულ:	160240	68654	0	91586

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საწარმო-საოფისე შენობის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს.

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობი თ	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხულ ი ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობი თ
მანქანა-დანადგარები	41885		-10470	52355
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	2016		-504	2520
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	538		-179	717
ავტო	1704	1356	-114	462
ინვენტარი	10706	1186	-1155	10675
სპეციალური ინსტრუმენტები	414		-104	518
სატრანსპორტო საშუალებები	19261		-4815	24076
სხვა ავტოტრანსპორტი	0	-16314	-3000	19314
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	1241		-311	1552
იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზაცია	9954	1929	-2484	10509
1000 ლარამდე ღირებულების ძს	11522	1313	-1253	11462
სულ:	99241	-10530	-24389	134160

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 185325 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 179755 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“	1131	1256
FMG სადისტრიბუციო პროგრამა	1915	2128
სულ:	3046	3384

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 1982 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 2321 ლარი

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	19508	19799
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	2261	2110
სულ:	21769	21909

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 26 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 5 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები		50
სულ:	0	50

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	26538	86646
სულ:	26538	86646

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2019 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2020 წლის იანვარში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816002		
ბაზისბანკი სესხი №166816/001		366258
ბაზისბანკი სესხი №166816/004	70498	57568
ბაზისბანკი სესხი № 166816/005	101500	85958
სულ:	171998	509784

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია.

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816/004	641089	664168
ბაზისბანკი სესხი № 166816/005	42103	134032
სულ:	683192	798200

„ბაზისბანკიდან“ აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარებში. 2019 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 298214.34 USD-ს.

3.13. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	20	20
სულ:	20	20

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	25000	25000
გაუნაწილებელი მოგება	775781	876976
სულ:	800781	901976

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადასაღვეო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული ხესხის გამცემი სუბიექტები). 2019 წელს მოხდა 2017 წლამდე დაგროვილი მოგებიდან მხოლოდ 63158 ლარის განაწილება დივიდენდებად, ამიტომ ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს 2017 წლამდე დაგროვილი მოგების განაწილებისას უკვე გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის უფლებას, კომპანიის 2019 წლის მოგება არ შემცირებულა მოგების გადასახადით.

2019 წელს მოხდა 2018 წლამდე დაგროვილი დაბრუნებული საქონლის შესამცირებელი დღგ-ის კორექტირება 1064 ლარით და შესაბამისად 2019 წლის ბოლოს დაგროვილი მოგება შემცირდა და შეადგინა 800781 ლარი 801845 ლარის ნაცვლად.

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2019 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	2083847
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1568857
სულ:	514990

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2019 წელი
საპროცენტო შემოსავლები	6
დადებითი საკურსო სხვაობები	18486
ვალის პატივებით მიღებული შემოსავალი	3806
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1472
სულ:	23770

3.17 საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2019 წელი
საწარმოს ინვენტარის ხარჯები	-485
სხვა საწარმოო ხარჯები (ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრა)	-1017
საწარმოო სარემონტო ხარჯები	-16598
რეკლამის ხარჯები	-42
სხვა მიწოდების ხარჯები	-947
სულ:	-19089

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-213450
საპენსიო ფონდში გადასახადელი	-2428
იჯარის ხარჯები	-70792
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-3681
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-3247
საწკავეს ხარჯები	-17636
ცეცხლი და ამორტიზაცია	-24728
საკომუნიკაციო ხარჯები	-3096
კომუნალური ხარჯები	-34830
საზანკო ხარჯები	-6446
საკონსულტაციო ხარჯები	-9000
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-5734
სულ:	-395068

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი
არასაოპერაციო ზარალი ძს რეალიზაციიდან	-7652
საპროცენტო დანახარჯები	-76780
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-76137
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-2
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-1005
სულ:	-161576

სხვა არასაოპერაციო ხარჯები ძირითადად შედგება არასაგადასახადო ჯარიმებისაგან.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2019 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერს.